

ირმის ნახტომი

ირმის ნახტომი- გალაქტიკაა. გალაქტიკა სხვადასხვა ვარსკვლავების ნაკრებს, ჯგუფს ეწოდება. მილიარდობით ვარსკვლავი ისე ახლოს თავსდება ერთმანეთთან, რომ ქმნიან დაჯგუფებას. მზის სისტემაც ირმის ნახტომის ნაწილია და როგორც მას, ასევე ყველა სხვა ვარსკვლავს აქვს საკუთარი პლანეტათა სისტემა. ირმის ნახტომში ასევე სხვა ციური სხეულებიცაა- ასტეროიდები, კომეტები და სხვა. მის შემადგენლობაშია გაზები, ნისლეული, კოსმიური მტვერი... სამყაროში ირმის ნახტომის გარდა კიდევ უთვალავი გალაქტიკაა. მათ სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვთ. გალაქტიკები ზოგჯერ ერთმანეთთან ისე ახლოს არიან, რომ ჯგუფებს ქმნიან. მათ გალაქტიკათა გროვა ეწოდება. უფრო გრანდიოზულ სისტემას მეტაგალაქტიკა ეწოდება. ის ჩვენთვის ყველა ხილული და ცნობილი გალაქტიკებისა და მათი ჯგუფების ერთობლიობაა. ამ დროისთვის მეცნიერების აზრით არსებობს ასი მილიარდიდან ერთ ტრილიონამდე გალაქტიკა. მათშიც თავისთავად მიახლოებით 100 მილიარდი ვარსკვლავია, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვთვალოთ ვარსკვლავთა მიახლოებული რაოდენობა სამყაროში, რაც დაახლოებით 1022-1023 -ს უდრის.

ირმის ნახტომიც თავისთავად შედის დაჯგუფებაში, სადაც დაახლოებით ოცამდე მსგავსი გალაქტიკაა. დაჯგუფება სიგრძეში 6 მილიონი სინათლის წელზე იჭიმება. მასში ირმის ნახტომს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. იგი დაჯგუფების ერთ ბოლოში იმყოფება, ხოლო დაჯგუფების მეორე ბოლოში გალაქტიკა „ანდრმედა“. ეს ორი გალაქტიკა ნელ-ნელა ერთმანეთისკენ მოძრაობს და რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ შესაძლებელია შეეჯახონ, გაერთიანდნენ და უფრო დიდი უფორმო გალაქტიკა წარმოქმნან.

ირმის ნახტომი წარმოიშვა დიდი აფეთქებიდან ზალიან მალე. პირველი ვარსკვლავთა ჯგუფები ერთად მცირე დაჯგუფებას ქმნიდნენ, რაც ახლა სავარაუდოდ გალაქტიკის ცენტრია. მილიარდობით წლის განმავლობაში ახალმა ვარსკვლავებმა დაიწყეს ბირთვის გარსემო სპირალის შექმნა. მართლაც კოსმოსური მოვლენები არა საუკუნეების არამედ მილიარდობით წლების განმავლობაში ძალიან ნელა ხდება. ირმის ნახტომში კი ყველაზე ძველი ვარსკვლავის ასაკი 12-14 მილიარდი წელია.

ჩვენ სამყაროში იმდენად მცირე ნაწილს ვიკავებთ, რომ ეს ადამიანის გონებისთვის ფაქტიურად წარმოუდგენელია. უკეთ რომ გავიგოთ, ირმის ნახტომი ფეხბურთის მოედნის ზომაზე, რომ შემცირდეს, მაშინ დედამიწა მასთან შედარებით ერთი მტერის ნამცეცი იქნებოდა. ან დედამიწა, რომ ოცდახუთი მილიმეტრის დიამეტრის გახდეს, ანუ პატარა მონეტის ხელა, მაშინ ირმის ნახტომის დიამეტრი გახდება ორი ათასი კილომეტრი. იმის გამო, რომ დედამიწა ირმის ნახტომის შიგნითაა და მისი ნაწილია, მის ნამდვილ ფორმას კარგად ვერ აღვიქვამთ. მას შიგნიდან ვუყურებთ, ანუ განიკვეთში, ამიტომ ჩვენთვის მას როგორც ცაზე გადაჭიულ გრძელ და ვიწრო ნათებას ვხედავთ. თითქოს ის ცის ნისლოვანი სარტყელია. ჩვენმა წინაპრებმა ეს ირმის ნახტომს მიახლოებდნენ და სწორედ აქედან წამოვიდა ეს სახელიც. დედამიწიდან პატარა ტელესკოპით ან ბინოკლითაც შეიძლება მასში ვარსკვლავების დანახვა. ტუმცა პირველ რიგში ირმის ნახტომი რომ დავინახოთ, ქალაქიდან უნდა გავიდეთ სადაც უფრო სუფთა და ნაკლებად დანისლული ცაა. საქართველოდანაც

შესაძლებელია ქალაქგარეთ, ღამე ირმის ნახტომის დანახვა. დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან შენიშნავთ მას.

სინამდვილეში ირმის ნახტომი სპირალური ფორმისაა. მისი დიამეტრი ასი-ასოცი ათასი სინათლის წელია. ეკვატორული დისკოს სისქე ხუთი ათასი სინათლის წელიწადი. მას ცენტრში ელიფსური ფორმის ბირთვი აქვს რომლის სისქე თხუთმეტი-ოცი ათასი სინათლის წელია და გარშემო გაზით, კოსმიური მტვრის დისკითა და ციური სხეულებითაა შემოსაზღვრული. მისი ცენტრის დანახვა კარგად არაა შესაძლებელი, რადგან დედამიწასა და ცენტრს შორის არის ჩამოფარებული ნისლეული. მეცნიერთა ვარაუდით და ინფრა-წითელი შუქით გადაღებული სურათებით (რომელიც ნისლეულის გარეთაც აღწევს) ცენტში იმიტომ მოჩანს ნათება, რომ იქ ვარსკვლავები უფრო მჭიდროდ და ახლო-ახლოსაა ერთმანეთთან, ხოლო რაც შორს მიდის ირმის ნახტომის ცენტრისაგან, ვარსკვლავები ნაკლებად მჭიდროდ თავსდება. არსებობდა ვარაუდები, რომ ამ ადგილას შესაძლებელი იყო, ყოფილიყო შავი ხვრელი, რომლის არსებობაც ირმის ნახტომში არც დადასტურებულია და არც უარყოფილი. გალაქტიკის ის ნაწილი სადაც მზის სისტემა იმყოფება სისქით 3 ათასი სინათლის წელია. ირმის ნახტომი თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს.